



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

კესო გეჯუა

მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა
სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

0232.1.3 ფილოლოგია

თბილისი
2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ტარიელ ფუტკარაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ შეროზია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური შემფასებლები:

მანანა ტაბიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ასმათ შონია - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 18 მაისს, 17:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://zoom.us/j/8978585107>

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის „_____“ _____

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი,
ნინო მამარდაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

მეგრული მეტყველების, შესაბამისად, მეგრული ლექსიკის, ადგილის საკითხი ქართველურენოვან სივრცეში ძალზე აქტუალურია საენათმეცნიერო წრეებში.

უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, მეგრული ლექსიკა განიხილებოდა ქართული სამწიგნობრო ენის მძლავრ შენაკადად. მეფის რუსეთის მოხელეებმა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყეს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების პროცესი „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის საფუძველზე; კერძოდ, ჩამოაყალიბეს მეგრულის დამოუკიდებელ საეკლესიო და სალიტერატურო ენად ფორმირების შორსგამიზნული და უდავოდ მავნებლური გეგმა. აღნიშნული „რუსული პროექტი“ გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში და გრძელდება დღესაც; კერძოდ, დღესაც არის აქტიური მცდელობა, შეიქმნას „მეგრული სალიტერატურო ენა“; შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს მეგრულის „თარგმნით“ ლექსიკონებზე მუშაობა, რათა მომზადდეს საფუძველი, რომ ამ მეტყველებას დამოუკიდებელი ენის სტატუსი მიენიჭოს.

ქართველთა დამანაწევრებელი ენობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად გაილაშქრეს XIX-XX საუკუნეების ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, კლასიკოსმა მწერლებმა, მეცნიერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. მეგრული მეტყველების ლექსიკას ისინი განიხილავდნენ როგორც ქართული სამწიგნობრო ენის გამდიდრების წყაროს. თუმცა რუსულმა პოლიტიკამ თავისი კვალი მაინც დააჩნია ისეთ განძს, როგორცაა 1950-1964 წლებში არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით დაბეჭდილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატომეული. ტრადიციულად ქართველთა სამწიგნობრო ენის (ქართველური ენის) ლექსიკონებში შეჰქონდათ ისეთი ქართველური დიალექტური ლექსიკა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იყო სამწიგნობრო ენაში (მათ შორის მეგრული ლექსიკაც). ეს ტრადიცია გარკვეულწილად შენარჩუნდა ქეგლ-შიც; თუმცა, როგორც ჩანს, საბჭოთა რეპრესიული რეჟიმის პირობებში, შეუძლებელი გახდა ადეკვატურად აღნუსხულიყო ყველა ქართვე-

ლური ქვესისტემის ლექსიკა; კერძოდ, დიალექტური ერთეულები-დან ქეგლ-ში შესაბამისი კვალიფიკაციით არ არის შეტანილი არც ერთი მეგრული, ლაზური ან სვანური სიტყვა (როგორც მითითებულია სხვა დიალექტებისა თუ ენების ფაქტები). არც ისეთი შემთხვევებია აღნიშნული, როცა რომელიმე ფორმა გურულთან ან იმერულთან ერთად მეგრულშიც დასტურდება. მიზეზი: საბჭოთა პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიის მიხედვით, მეგრულ-ლაზური და სვანური „უმწერლობო ენებად“, „ტომობრივ ენებად“ მიიჩნეოდა.

დღეს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება მუშაობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაზე. ქართული (/ქართველური) ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი კონცეფცია შემუშავდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრშიც; შესაბამისად, ვფიქრობთ, წარმოდგენილ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილის განსაზღვრის შესახებ დეტალური და მრავალმხრივი ანალიზი.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ მეგრული ლექსიკის პერსპექტივა ისტორიული დინამიკის გათვალისწინებით. ქართველთა სამწიგნობრო კულტურის ისტორიაში მეგრული ლექსიკის ადგილის წარმოსაჩენად ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ:

- 1) მეგრული სიტყვა-ფორმების მოხმარების მასშტაბი XX საუკუნის 50-იან წლებამდე მოღვაწე მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თვალსაზრისების მიხედვით;
- 2) მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილი ქართველურ ლექსიკონებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე;
- 3) მეგრული სიტყვა-ფორმების ფორმობრივ-სემანტიკური და ლექსიკოგრაფიული ანალიზი...

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, **განისაზღვრა ამოცანებიც;** კერძოდ:

- 1) ლექსიკოგრაფიული საკითხის მიმოხილვა;
- 2) საქართველოს ენობრივ პოლიტიკაზე რუსული გავლენის წარმოჩენა;

- ქ) დიალექტურ ლექსიკასთან მიმართებით ქართველი მოღვაწეების ენობრივი კონცეფციების შეპირისპირებითი ანალიზი;
- ქ) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (1950-1964) ლექსიკოგრაფიული პრინციპების ანალიზი.
- ქ) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის კონცეფციის მიმოხილვა;
- ქ) მეგრული ლექსიკონების კონცეფციების განხილვა;
- ქ) მეგრული სიტყვა-ფორმები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ფიქსირების მიხედვით.
- ქ) მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი და პრესის მასალების, სხვადასხვა სახის ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ფაქტების განხილვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ აუცილებელია მეგრული სიტყვა-ფორმები შევიდეს ქართული (ქართველური) ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც არის ქართული სამწიგნობრო ენის უპირველესი ბაზა (მეგრული ლექსიკა თუ გახდება ქართველთა სალიტერატურო ენის ბაზა, მნიშვნელოვნად გამდიდრდება ქართული სალიტერატურო ენა).

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა განსხვავებული მიდგომები ქართველური ქვესისტემის ლექსიკის მიმართ. ჩვენ მიერ მოძიებული და გაანალიზებულია მეგრული ლექსიკური ერთეულები კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის შემოქმედებიდან, ასევე ს.ს. ორბელიანისა და ი. ჭყონიას ლექსიკონებიდან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

თანამედროვე ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური კვლევების გათვალისწინებით ნაშრომში მეგრული სიტყვა-ფორმები გაანალიზებულია 15-საუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორიასთან მიმართებით. საკითხის შესწავლისას გამოყენებულია როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები მნიშვნელოვანია:

- 1) ეროვნული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი კონცეფციის შემუშავებისათვის;
- 2) სამწიგნობრო ენისა და დიალექტური ლექსიკის გამიჯვნის თეორიული საფუძვლის მომზადებისათვის;
- 3) სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორიის გათვალისწინებით მოცემული მეტყველების ლექსიკის ადგილისა თუ სტატუსის განსაზღვრისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ქართველთა დედაენის - ქართველური (ქართული) ენის - განმარტებით ლექსიკონში უნდა აისახოს ყველა ქართველური ქვესისტემის ის ლექსიკა, რომლის დამკვიდრება გაამდიდრებს ქართველთა მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო ენას; კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევა მნიშვნელოვანია მეგრულის, ასევე, სხვა ქართველური ქვესისტემების ლექსიკით ქართული სამწიგნობრო ენის გამდიდრებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

კვლევის მიზნებისა და დასახული ამოცანების შესაბამისად არის წარმოდგენილი ნაშრომის სტრუქტურაც; კერძოდ: სადისერტაციო ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, სამი თავის, დასკვნითი დებულებებისა და დამოწმებული ლიტერატურისაგან.

შესავალ ნაწილში მოცემულია ლექსიკოგრაფიული მიმოხილვა.

პირველ თავში თავმოყრილი და გაანალიზებულია მეგრული ლექსიკის საკითხი XX საუკუნის 50-იან წლებამდე მოღვაწე მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თვალსაზრისების მიხედვით. მასში გამოიყოფა **ხუთი** პარაგრაფი **ცამეტი ქვეპარაგრაფით**, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული მეგრული ლექსიკის ადგილი და ქართველი მწერლებისა თუ საზოგადო მოღვაწეების დამოკიდებულება ქართველთა სამწიგნობრო ენაში მეგრული სიტყვა-ფორმების გამოყენების მიმართ; ასევე გაანალიზებულია სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებები მეგრულის ადგილზე.

მეორე თავი ეხება მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილს ქართველურ ლექსიკონებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე. **ხუთ** პარაგრაფად წარმოდგენილია: არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (1950-1964) ლექსიკოგრაფიული კონცეფცია; დისკუსია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის“ კონცეფციის შესახებ კ. გამსახურდიასა და არნ. ჩიქობავას შორის; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის კონცეფცია; მეგრული ლექსიკონების კონცეფციების მიმოხილვა.

მესამე თავი მოიცავს მეგრული **სიტყვა-ფორმების ანალიზს** **ოთხ** პარაგრაფად. თითოეულ პარაგრაფში მასალა განხილულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოცემული კვალიფიკაციების კუთხით; გაანალიზებულია ისეთი ლექსიკაც, რომელიც არ დასტურდება ხსენებულ ლექსიკონში.

დასკვნით დებულებებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

შესავალ ნაწილში მიმოვიხილავთ ლექსიკოგრაფიული მუშაობის ტრადიციას საქართველოში. თავდაპირველი ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ექვთიმე მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, იოანე ზოსიმეს, გიორგი მთაწმიდელსა და სხვ., როგორც ქართველური ლექსიკის შერჩევით სამწიგნობრო ტერმინოლოგიის შემქმნელებს.

XVI-XVII საუკუნეებში ჩნდებიან პირველი ქართველი ლექსიკოგრაფები, რომელთა სახელებთანაა დაკავშირებული ორიგინალური ლექსიკოგრაფიის განვითარება. აღსანიშნავია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახტანგ მეექვსისა და, რაც მთავარია, სულხან-საბა ორბელიანის უდიდესი ღვაწლი.

ლექსიკოგრაფიული საქმიანობა გააგრძელეს დავით და ნიკო ჩუბინაშვილებმა. ილია ჭყონიამ „სიტყვის-კონაში“ წარმოადგინა ლექსიკა, რომელიც არ დასტურდება სულხან-საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

XIX საუკუნის ბოლო წლებში აქტიური მოთხოვნა იყო შექმნილიყო ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი. მიუხედავად მეცნი-

ერთა ძალისხმევით, ლექსიკონი არ გამოცემულა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა ჩამოყალიბებულიყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“ (1945წ.) და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შექმნილიყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (1950-1964).

ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს მუშაობა ქართველური დიალექტების ლექსიკონის შესასწავლად. გამოიცემოდა ლექსიკონები. XX საუკუნის დასაწყისიდან გამოცემული მეგრული ლექსიკონების ნაწილი იყო განმარტებითი, ნაწილი - თარგმნითი. ამაზე მეტყველებს მათი სახელწოდებებიც. „თარგმნითი“ მეგრულ-ქართული ლექსიკონების დასახელებაში ასახულია რუსული პოლიტიკის მიზანი - მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველებები გამოეცხადებინა დამოუკიდებელ, უმწერლობო ენებად. უკანასკნელ ხანებშიც აქტიურად გამოიცემა სამენოვანი და ხუთენოვანი ლექსიკონები (უცხოური ფონდების ჩართულობით), რომელთა მიზანია მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებები საერთაშორისო სივრცეში კვალიფიცირდეს, როგორც „უმცირესობების ენები“.

I თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების საკითხი XX საუკუნის 50-იან წლებამდე

1.1. მეგრული სიტყვა-ფორმები, როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის უწყვეტი ისტორიული შენაკადი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიხედვით (უძველესი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე)

ქართული სალიტერატურო ენა ისტორიული განვითარების ხანგრძლივ და მრავალფეროვან გზაზე უწყვეტად მდიდრდებოდა დიალექტებით.

სხვა მეტყველებებთან ერთად მეგრულ-ლაზური მასაზრდოვებელი იყო ჯერ კიდევ იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) შრომებისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა

მწიგნობრის მიერ მეგრული „ჟირი“-ს შემოტანა სალიტერატურო ენაში, როგორც „მეორე ხმის გამომცემი სიმი საკრავისა“ (პეტრიწი, 1940:289). ამასთან, საინტერესოა „მედინი“, „უდინი“ ფორმებიც, რომლებიც თავის მხრივ მეგრულ „დინაფა“-ს (დაკარგვა, გაქრობას) გულისხმობს. იოანე პეტრიწმა შექმნა ქართული მეცნიერული, ფილოსოფიური ენა „გალექსებული“ და „მესხუე მდაბრიონთაგან“, რომელიც ჩამოძვრნილი იყო ისევ და ისევ საერთო-სახალხო, ცოცხალი მეტყველების მასალაზე დაყრდნობით.

XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის შედეგრი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ნათლად წარმოგვიდგენს იმდროინდელი სალიტერატურო ენის სრულყოფილებას. „ვეფხისტყაოსანში“ დაფიქსირებული დიალექტური ფორმები გვიჩვენებს, რომ დასავლური კილოები ოდითგანვე იყო ერთიანი ენობრივი სივრცის ნაწილი.

ეს ნათლად ჩანს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც, რომლის შექმნის უმთავრესი მიზეზი, როგორც „ანდერმ-ნამაგიდან“ ჩანს, იყო ქართული ენის გადარჩენა შერყენისა თუ გაქრობისაგან. ამისთვის კი შესაკრებ ფონდს წარმოადგენდა საერთოქართველური მასალა („შესრულებული და განვრცელებული“ ფარნავაზ მეფის დროიდან მოყოლებული - კ.გ.) როგორც წერილობითი წყაროებიდან, ისე ზეპირი გზით მოპოვებული. მეგრული მეტყველება ერთ-ერთ ამ წყაროს წარმოადგენს ლექსიკოგრაფისათვის. ნაშრომში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ გამოვლენილი მეგრული წარმომავლობის ლექსიკის ანალიზს: განლიგება, გურიობა, დაჩინჩება, კოლომანი, ნარინ, საყუდელი, ფელიკი.

1.2. მეგრული, როგორც „ახალი სალიტერატურო ენა“ რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკთა მიხედვით (1860-1933 წლები)

მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა პერიოდის მესვეურთა მიდგომები ქართველური ენობრივი ერთიანობის რღვევისკენ იყო მიმართული. კერძოდ, მათ მიზნად დაისახეს „მეცნიერული“ „კვლევებით“ (კვაზიმეცნიერულად) საქართველოს კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება და ამ „ენებზე“ საქმისწარმოებისა თუ საეკლესიო ღვთისმსახურების დაწყება. ამისთვის მეგრული და სვანური მეტყველებებისთვის

ანბანიც შექმნეს. XX საუკუნეში ეს ფსევდომეცნიერული იდეოლოგემა ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და დღესაც აქტიურად გამოიყენება საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში.

ვფიქრობთ, ამ კვალს მიჰყვება დღეს საქართველოს გარეთ თუ საქართველოში არსებული ზოგი ჯგუფის „მუშაობა“, რომელთა მოთხოვნები არა მარტო მეგრულად სწავლა-განათლებას გულისხმობს, არამედ სამეგრელოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნამდეც მივიდა.

1.3. მეგრული სიტყვა-ფორმები, როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის უწყვეტი ისტორიული შენაკადი ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიხედვით (XX საუკუნის 50-იან წლებამდე)

ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წინ აღუდგნენ გამორჩეული ქართველი საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვ.

დიმიტრი ყიფიანი მეგრელებისთვის, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის სამწიგნობრო ქართულ ენაზე სწავლებას სავსებით ბუნებრივ და გასაგებ საქმედ თვლიდა. მან დააყენა საკითხი სალიტერატურო ენის ხალხურ ენასთან დაკავშირებისა და მძიმე ფორმებისაგან ლიტერატურული ენის გაწმენდის თაობაზე. მისთვის სამწერლო ენის ერთადერთი საიმედო საფუძველი ხალხის ყოველდღიური სასაუბრო ენაა, რომლისგან გათიშვა მწიგნობრულ ენას მკვდარ ენად გადაქცევის საფრთხეს უქმნის.

იაკობ გოგებაშვილი: „მეგრელების არაქართველებად გამოცხადება, რომელთაც არ აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, ნიშნავს მათ წაერთვათ მთელი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი და გამოცხადდნენ გონებრივ ლატაკებად. ასე მოქცევა ნიშნავს ერთმანეთს დაამორონ ის, რაც ღმერთს, ბუნებას და ათასწლოვან ისტორიას შეუერთებია“ (გოგებაშვილი, 1954:439).

აკაკი წერეთლის მიდგომა მეგრული მეტყველებისადმი ერთგვარად წააგავს სულხან-საბას მიდგომას, როცა აცხადებს, რომ „**მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია**“, მაგრამ ამასთან მეგრულს „**ნამდვილ ქართული სიტყვების სალარო**“ უწოდა – „*მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ეს ძველი სიტყვები... ჩვენ გურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი*“ (წერეთელი 1961:427-429). აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინ „ენას“ აკაკი წერეთელი იყენებს როგორც მეტყველებას და არა, როგორც ერის იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორს.

იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართველი ერის ინტერესების დასაცავად თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა **ილია ჭავჭავაძე**. წერილში „**ზოგიერთი რამ**“ ილია ნათლად ასახავს, როგორ შეიძლება ენობრივმა დაქუცმაცებამ ეროვნულ დაქუცმაცებამდე მიგვიყვანოს: „*ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოიშალა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძობითი სახელი-და გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად მმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია... იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალცალკედ მითვისებული, კერძობითაც მიღებული, განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია*“ (ჭავჭავაძე, 2012:48-49).

1902 წელს, რუსულ ენობრივ დივერსიას კონკრეტული ლექსით გამოეხმაურა **ვაჟა-ფშაველა**, სადაც ხაზი გაუსვა ქართველთა ერთიანობას და მეგრული და სვანური ანბანის შექმნა „**ქართველთა გადამტერებად**“ მიიჩნია. თავის მხრივ ლექსიკას, რომლითაც ვაჟამ გაამდიდრა სალიტერატურო ენა, კ. გამსახურდიამ „**მზითევი**“ უწოდა და მისი მეტყველების საერთო ფონად ძველქართული დასახა.

სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე **ნიკოლოზ დადიანი** ხაზს უსვამდა ქართველური ენის ერთიანობას და მეგრულს მიიჩნევდა

ამ ერთიანობის შემაღგენელ ნაწილად. ეს პოზიცია ნათლად არის წარმოდგენილი წერილში „კაი ხუმრობა!“. „შინა განხეთქის უდროვო დროსაც არავის ვულშიდაც არ გაუვლია ეს მწვალებლური ფიქრი, რომ ჩვენებურს „ქღურტულს“ ენობა ვუბოძოთ, ანბანი გამოვუხატოთ და მწერლობა დავულოცოთო... ისე როგორც დასაბამითგანვე ყოფილა, საღვთო რჯულიც და საერო წესიც სრულდებოდა წმინდა ქართულს ენაზე და ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ დაიჩემებს, იმოდენად განვითარებული სამოქალაქო, საბჭო სიტყვიერება ჰქონდეს, როგორც ეგრისის ქართველებს, მეგრელებს ჰქონდა... ამიტომ რომ არც ერთსა და არც მეორეს არ ჰსცოდნია, რომ მეგრული ქართული, იმერული ქართული, გურული ქართული, რაჭული ქართული, მთიული ქართული და სხვა ყველა ქართულია!...“ („ივერია“, 1887, №39:2).

კონსტანტინე გამსახურდიამ წარმოადგინა „**იდეალური ლიტერატურული ქართულის**“ ჩამოყალიბების გზა ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით; კერძოდ:

„ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტზე მეტ-ყველ ქართულ ტომებისა და მათ ნაშიერების მიერ.

ყოველი დიდი ოსტატი ქართული ენისა უწინარეს ყოვლისა თავის კუთხეში დაგროვილი სიტყვის მარაგით ამდიდრებდა და ამკობდა ქართულ მეტყველებას.

...თანამედროვე ოსტატები ქართული სიტყვისა ერთგულად მისდევენ კვალდაკვალ ქართული სიტყვის გამმართველების ამგვარ ტრადიციას.

...ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიღარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სიღბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (გამსახურდია, 1967:206-207).

აქამდე უხმარი სიტყვების გამოყენებას საპატიო საქმედ მიიჩნევდა კლასიკოსი, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ იძებნება: „დაუშრეტელი რეზერვუარი ჩვენი ენისა ეს გახლავთ ძველქართული და ჩვენი ტომების მრავალკილოვანი დიალექტები... [ენაკავები] იძლევიან მდიდარ ლექსიკურ მასალას... დიალექტები უნდა გამოვიყენოთ დედა-ქართულის სიტყვიერი მარაგის გასამდიდრებლად“ (გამსახურდია, 1967:217).

1.4. მეგრული სიტყვა-ფორმები, როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის უწყვეტი ისტორიული შენაკადი (XX საუკუნის 50-იან წლებამდე მოღვაწე მეცნიერთა თვალსაზრისების ანალიზი)

მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მხარდამხარ ქართველური ენის სიწმინდის დასაცავად იბრძოდნენ ქართველი მეცნიერებიც. წარმოვადგენთ ს. ხუნდაძის, პ. ჭარაიასა და ი. ჭყონიას თვალსაზრისებს მეგრულის ადგილზე ქართველურ ენობრივ სივრცეში:

სილოვან ხუნდაძემ საჭიროდ მიიჩნია თვით სასკოლო სახელმძღვანელოში - „**ქართული გრამატიკა**“ - შეეტანა მეგრული და სვანური მასალა, რათა ახალგაზრდებს გაეაზრებინათ ამ მეტყველებების საუკუნეობრივი კავშირი სამწიგნობრო ენასთან, რომ ისინი განშტოებებია და არა დამოუკიდებელი ენები. ვფიქრობთ, ეს სავესებით მართებული მიდგომაა საკითხისადმი, რისი გათვალისწინებაც თანამედროვე სიტუაციაში ორმაგ აუცილებლობას წარმოადგენს.

პეტრე ჭარაია ნაშრომებში „**ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლ-წერა**“ და „**მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან**“, სიღრმისეულად განიხილავდა და სწორად აფასებდა მეგრულისა და სამწიგნობრო ენის ურთიერთმიმართების საკითხს. მან დიალექტები შეაფასა როგორც სალიტერატურო ენის მაცოცხლებელი ძალა და ერთ-ერთ მათგანად წარმოადგინა მეგრული:

„როცა ლიტერატურული ენა განზე გაუდგება სახალხო კილოებს, უკადრისობას გაუწევს იმათა, გასწყვეტს იმათთან მტკიცე და განუწყვეტელ კავშირსა, მაშინ თვით მისი აღსასრულის დღეც მოახლოებულია“ (ჭარაია, 1997:190).

„მეგრული, ეს ღვიძლი ძმა ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წაავას“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს““ (ჭარაია, 1997:204).

პ. ჭარაია დიალექტების სამწიგნობრო ენად ჩამოყალიბების მცდელობებზე შენიშნავს: გერმანელებთან შედარებით, „*ჩვენ რადანნი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ*“ (ჭარაია, 1997:203).

ილია ჭყონიას პოზიცია მეგრული მეტყველების მიმართ ჩანს მის ლექსიკონში „სიტყვის-კონა“, სადაც შესულია მეგრული ლექსიკა. მართალია ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ მაინც ავლენს ამ მეტყველებისადმი ისეთივე დამოკიდებულებას, როგორც გურულის, ან იმერულისადმი. ეს ჩანს იქიდან, როცა ლექსიკური ერთეულების (აგვართა, საინი, ხერკალი, ჯანჯუხი) კვალი-ფიკაციისას გურულის გვერდით მეგრულსაც ასახელებს, თუმცა მეგრულზე მითითების გარეშეც შეაქვს მეგრულ-ლაზური გახმონების ისეთი სიტყვები, როგორიცაა გაბჟინება, გაჭყაჭირება, დოჩხაური, პეტელი, ძღაბი...

1.5. დისკუსია ახალი განმარტებითი ლექსიკონის შექმნის საკითხზე XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესაში

ქართველურენოვან სივრცეში მეგრული მეტყველების ადგილის შესახებ მკაფიო პოზიცია ჰქონდათ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს; კერძოდ, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ პრესაში გამოიკვეთა მოთხოვნა, რომ შექმნილიყო ახალი განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც აისახებოდა ქართველური ლექსიკა ყველა დიალექტიდან და ასე გამდიდრდებოდა სამწიგნობრო ენის ფონდი. პრესაში დაბეჭდილი სტატიების ავტორთა აზრით, ყოველი უცხო სიტყვისთვის იმავე ცნების გამომხატველი ქართული შესატყვისი ქართველურენოვან სივრცეში უნდა მოძებნილიყო. საამისოდ ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილი ტექსტები თუ ლექსიკა - „ქართული ენის საუნჯის მასალად“. აქვე ქვეყნდებოდა მეგრული ლექსიკაც; დავიმოწმებთ ერთ-ერთ ციტატას: „საჭიროა მიეცეს მეგრულს ენას ქართულს მწერლობაში შესაფერი ადგილი“ (ივერია, 1897:№227:3); კონტექსტის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც (აკაკი წერეთლის ტექსტის მსგავსად) ტერმინი „ენა“ გამოყენებულია მეტყველების სემანტიკით. წერილის პათოსია, რომ მეგრული ლექსიკით გამდიდრდეს ქართული სალიტერატურო ენა.

II თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილი ქართველურ ლექსიკონებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე

2.1. არნოდდ ჩიქობავას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ

ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკონში - „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ - მეგრული ლექსიკონის ადგილის შესახებ მსჯელობამდე საჭიროდ ვთვლით, გავიხსენოთ მთავარი რედაქტორის, არნ. ჩიქობავას მიდგომა მეგრული მეტყველების სტატუსის მიმართ:

1933 წელს გამართული დისკუსია სამეგრელოსა და სვანეთში მეგრულად და სვანურად სწავლების აუცილებლობაზე, არნ. ჩიქობავამ დაასრულა თავისი ოფიციალური დასკვნით, სადაც აღნიშნა: *„საბჭოთა საქართველოს მშრომელთათვის (მხედველობაში გვყავს ქართული გვარტომობის მოსახლეობა) მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა იყო და არის ქართული ენა, საქართველოს სახელმწიფო ენა... ქართული ენა მეგრული და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“*. არნ. ჩიქობავას დასკვნის შემდეგ დაიხურა ახალგახსნილი მეგრული სკოლები.

არნ. ჩიქობავამ შემდეგაც გაიმეორა თავისი თვალსაზრისი და, ი. სტალინის შეხედულების საწინააღმდეგოდ, მეგრელების, ლაზების, სვანების ისტორიულ სამწიგნობრო ენად სამართლიანად გამოაცხადა ქართული სამწიგნობრო ენა. პარალელურად, სამეცნიერო ნაშრომებში მეგრული მეტყველება მან ჩათვალა უმწერლობო ზანური ენის ერთ-ერთ დიალექტად.

2.2. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (1950-1964) ლექსიკოგრაფიული კონცეფცია

1945 წელს არნ. ჩიქობავამ ჩამოაყალიბა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპები“, რომლის მიხედვით ლექსიკონში უნდა შესულიყო დიალექტური მასალაც. ნაშრომში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ყველა ქართველური ქვესისტემის ლექსიკა შესაბამისი კვალიფიკაციით, გარდა მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკისა.

ლექსიკონში მეგრული მეტყველების ლექსიკის სრული იგნორირება არ ხდება, მაგრამ ისინი მიჩნეულია ან გურულ-იმერულ (ასევე ლეჩხ., რაჭ.) ფორმებად, ან წარმომავლობის მითითების გარეშეა შესული. ეს მიდგომა შეიძლება გარკვეულ ხერხად ჩავთვალოთ რედაქტორის მხრიდან, რომ საერთოდ ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო ეს ერთეულები.

2.3. დისკუსია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კონცეფციის შესახებ კ. გამსახურდიასა და არნ. ჩიქობავას შორის

კ. გამსახურდიამ საგანგებო წერილი მიუძღვნა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემას. მის ერთ-ერთი უმთავრეს შენიშვნას წარმოადგენდა ის, რომ ქეგლ-ის გამოცემა „უფრო ჭარბად“ უნდა შეესებულებოდა მეგრულ-ლაზურ-სვანური ლექსიკური ერთეულებით. საყურადღებოა, რომ სხვა საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემის ფონზე, არნ. ჩიქობავა ამ შენიშვნას უპასუხოდ ტოვებს. ვფიქრობთ, ეს შეგნებული ნაბიჯი იყო მეცნიერისგან; ფაქტია, მას არ უარუყვია კ. გამსახურდიას თვალსაზრისი თუ მოთხოვნა.

მთლიანობაში არნ. ჩიქობავამ შეძლო, წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა რეჟიმისათვის და დაიცვა ქართული სალიტერატურო ენის, როგორც „ყოველთა ქართველთა“ სამწიგნობრო ენის სტატუსი; ასევე, მოახერხა ისიც, რომ კვალიფიკაციის გარეშე, მაგრამ მაინც მეგრული ლექსიკა შეიტანა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

2.4. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის კონცეფცია

ახალი ათასწლეულის დასაწყისიდან დაიწყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი სარედაქციო სამუშაოები, რომელიც, როგორც პროფ. ა. არაბული განმარტავს, „*ემყარება და იცავს იმავე პრინციპებს, რაც განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქტორის მიერ იქნა შემუშავებული*“ (ქეგლი, 2008:12).

იმის მიხედვით, რომ ლექსიკონის ახალი რედაქციის სამი ტომი უკვე გამოცემულია, საკმაოდ შეინიშნება ისეთი ერთეულები, რომლებიც ისევ გურულ ან იმერულ ფორმადაა მიჩნეული. რვატომეულის ეს ხარვეზი აქ უნდა გამოსწორებულიყო. ამასთან, სალექსიკონო ერთეულად არ უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურ ვარიაციებს, „არამართებულ“ ფორმებს წარმოადგენენ.

პროფ. ტ. ფუტყარაძის კონცეფციით: „*ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ახალ განმარტებით ლექსიკონში უნდა შევიდეს როგორც არქაული თუ თანამედროვე წერილობითი ლიტერატურული ძეგლების მონაცემები, ასევე, ყველა ქართველური დიალექტის ის ლექსიკა, რომელიც გაამდიდრებს ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ბაზას; პირველ რიგში, აუცილებელია, ქართული სამწიგნობრო ენისაკენ გზა გაეხსნას ზანურ-სვანურ სიტყვა-ფორმებს*“ (ფუტყარაძე, 2018:63).

2.5. მეგრული ლექსიკონების ენათმეცნიერული კონცეფციები

განმარტებითი ლექსიკონი გულისხმობს ერთენოვან ლექსიკონს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სალიტერატურო ენისა, ასევე დიალექტური. ორი, სამი და ხუთენოვანი ლექსიკონები თარგმნითი ხასიათისაა. მეგრული ლექსიკონებიც ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: დიალექტური ლექსიკონები და ორ-(და მეტ)-ენოვანი ლექსიკონები.

XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული მეგრული ლექსიკონები თარგმნით ლექსიკონებს წარმოადგენენ, სადაც ლექსიკური

ერთეულები ახსნილია რუსულად (მაგ. ნიკო მარის „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем“, სადაც დიდი ადგილი უჭირავს ჭანურ-რუსულ ლექსიკონს; იოსებ ყიფშიძის „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем“, სადაც მეგრული სიტყვები თარგმნილია რუსულად).

1918 წელს დაასრულა პ. ჭარაიამ მუშაობა თავის ლექსიკონზე, რომელიც გამოიცა 1997 წელს დარეჯან თვალთვაძის მიერ. სამეცნიერო წრეში ეჭვს იწვევს ლექსიკონის სახელწოდება, რომელზეც პროფ. თ. გვანცელაძე შენიშნავს: „საგანგებო შემოწმებამ აჩვენა, რომ იგი თვით ავტორის მიერ არ არის დასათაურებული და თავფურცელს სხვისი ხელით აქვს გაკეთებული სათაური „მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტურ ენების მკვლევართათვის)“ (გვანცელაძე, 2006:75). აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნის გარე ყდა დასათაურებულია როგორც **მეგრულ-ქართული ლექსიკონი**. პ. ჭარაიას მიერ დეკლარირებული (გამოქვეყნებული) კონცეფციის მიხედვით, რომელიც ნათლად აქვს წარმოდგენილი წერილში „**მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან**“, მეგრული განიხილება ქართული ენის ნაწილად; შესაბამისად, მეგრული ლექსიკა - ქართული ენის ლექსიკონის ნაწილად; გამომდინარე აქედან, მოულოდნელია, რომ მისი ლექსიკონი გავიაზროთ, როგორც ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი.

შემდეგ პერიოდში გამოიცა არაერთი ლექსიკონი, რომელიც სახელწოდების მიხედვით ორენოვან, თარგმნით ლექსიკონებს წარმოადგენენ; მაგ. გ. ელიავას, ო. ქაჯაიას **მეგრულ-ქართული ლექსიკონები**; შდრ.: ო. ქაჯაიას მიხედვით, მეგრული წარმოჩენილია როგორც დამოუკიდებელი, უმწერლობო ენა და ნაშრომი წარმოადგენს თარგმნითი ხასიათის ლექსიკონს, სადაც მეგრული სიტყვა „თარგმნილია“ ქართულად.

ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონის შთაბეჭდილებას ქმნის თავისი სახელწოდებით ა. ქობალიას **მეგრული ლექსიკონი**. თუმცა ავტორი წინასიტყვაობაში ნაშრომს მოიხსენიებს როგორც უმწერლობო ენის ლექსიკონს.

საყურადღებოა უკანასკნელ ხანებში გამოცემული ე.წ. ხუთენოვანი და სამენოვანი ლექსიკონები - „**ქართულ-მეგრულ-**

ლაზურ-სვანურ-ინგლისური“ და „ინგლისურ-ქართულ-მეგრული სასაუბრო/ინგლისურ-ქართულ-მარგალურ საჩიარო“.

როგორც ვხედავთ, ტენდენცია მეგრული (ლაზურთან და სვანურთან ერთად) გამოცხადდეს დამოუკიდებელ ენად (შესაბამისად, მეგრელები ცალკე ეთნოსად), დღესაც გრძელდება. ამ სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული ზოგი უცხოური ფონდიც.

III თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ანალიზი

მესამე თავში გაანალიზებულია მეგრული სიტყვა-ფორმები, რომელიც გვხვდება კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის შემოქმედებაში. „სადისერტაციო მაცნეში“ სანიშუმოდ წარმოვადგენთ რამდენიმე სიტყვა-ფორმის ანალიზს:

3.1. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ იმერულ, გურულ... ლექსიკად კვალიფიცირებული მეგრული ფორმები

ბანძლი

„რომ დროზე მიესწრო ჩაბანძულ საქმისთვის, არც ცხენს ზოგავდა და არც თავს“ (ქიაჩელი, 1984:37).

ქეგლ-ში დასტურდება ძირეული ფორმა **ბანძლი-ც** (დავიდარაბა) და **ჩაბანძლიც** (აწეწილ-დაწეწილი, დახლართული, გართულებული (საქმე)) (ქეგლი). ორივე მათგანი კუთხურ, იმერულ ფორმადაა მიჩნეული.

ი. ყიფშიძე განიხილავს **ბანძლ-** (дурное приключение) და მისგან ნაწარმოებ ფუძეებს **ბანძლირი**, **ბანძლილი**, **აკო-ბანძლილი** - აკო-ბანძლილი თუმა „აწეწილი თმა“ (ყიფშიძე, 1914); მეგრულ მეტყველებაში აქტიურად გამოიყენება ზმნური ფორმა **ბანძლ-უნ-ს** („ხლართავს“), ასევე შფოთისთავისა და შარიანი ადამიანისთვის **ბანძლ-იან-ი**;

ბანძლი - (იმერ.) ხიფათი, უბედურება „ღმერთი არ გაწყრეს და რამე ბანძლი არ მოგვედევს (ალ. ღლონტი).

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **ბანძლ**- ძირი დაკავშირებულია ქართ. **ბეზლ**- ძირთან:

„ქართული **ბეზლ**- (ბეზლ-ება-ა) ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული **ბანძლ**- (ბანძლ-ი ვეტახა „არ იდავო“). მეგრულში მომხდარია **ზ>ძ** პროცესი; **ნ** განვითარდა **ძ**-ს წინ“ (ფენრიხი..., 2000:101-102).

ვფიქრობთ, ამ ორი ერთეულის სემანტიკა განსხვავებულია: დაბეზლება, დასმენას მეგრულში თავისი შესატყვისი მოეპოვება, რომელიც სალიტერატურო **ჩივ-ილ**- ფუძეს უკავშირდება: **ჩიულ**-, **ჩიულ-ენ-ს**, **უ-ჩიულ** (დასმენა, ასმენს, დაასმინა). **ბანძლ**- ძირი კი, რომელიც ქველ-ში იმერულ ფორმადაა მიჩნეული, მეგრულის კუთვნილებას წარმოადგენს (**ბანძლ-უნ-ს**).

3.2 „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სალიტერატურო ენის ფორმად მიჩნეული მეგრული ფორმები

პეტელი

„შემოესმა ხათუნას დაჭერილი თხის გულსაკლავი პეტელი“ (გამსახურდია, 1990:457).

„ბიჭა ბატკანი ხან ხელში აყვანილი მიჰყავდა, ხანაც პეტელ-პეტელით უკან მისდევდა“ (წულეისკირი, 1977:183).

პეტელი „თხისა და ცხვრის ხმიანობა, - კიკინი, ბღავილი“ (ქველი), მეგრული სიტყვა-ფორმაა, მაგრამ ქველ-ში მიანიშნებული არაა. **პეტელი** მეგრულში კიკინს, თხის ძახილს, ხმიანობას აღნიშნავს (ჭარაია, 1997). დასტურდება ზმნური ფორმა **პეტელ-ან-ს** - თხა (შხური) **პეტელანს/ც** „თხა კიკინებს“ (ყიფშიძე, 1914). **პეტელი** დასტურდება გურულში „თხის კიკინი“ (ღლონტი, 1984).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში (ა. არაბული) შესულია **გაიპეტელებს** ფორმა („პეტელის ხმას

გამოსცემს; პეტელით გაივლის“), მაგრამ მისი წარმომავლობა მითითებული არ არის. რვატომეულში ეს ფორმა არ დასტურდება. სავარაუდოა, სათანადო ტომში შევა მეგრული **პეტელანს** ზმნის შესაბამისი სალიტერატურო ზმნური ფორმა.

ჯარგვალი

„...იქვე მდებარე ჯარგვალზე მოიკეცა და შავი თავშალით დაიბურა პირისახე“ (გამსახურდია, 1992:235).

„მატარებელმა ჯერ ნამცნარში მიმოზნეულ რუსულ ყაიდაზე აშენებულ ჯარგვალის სახლებს ჩაუქროლა“ (ქიაჩელი, 1927:281).

„ბავშვის ცხედარი ჯარგვალში, შუა ადგილას ესვენა“ (წულე-ისკირი, 1977:5).

ქეგლ-ში ლექსემის განმარტებისას აქცენტი არ არის გაკეთებული მის კუთხურობაზე: **ჯარგვალი** - 1. მრგვალი გაუთლელი ხეებისაგან აშენებული (შენობა), ძელური; 2. ამგვარად აშენებული სახლი. 3. სპეც. ძელისაგან შეკრული სამ ან ოთხკუთხა ჩარჩოს სახის სამაგრი გვირაბში (ქეგლი).

ვხვდებით „ქართულ ლექსიკონშიც“: **ჯარგუალი** (ჯარგვალი) - ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელ-სდებენ. ლექსიკოგრაფი შესადარებლად გვაგზავნის იმავე მნიშვნელობის ჯირგუალი*(ნუსხებშია „ჯირგვალი“) ერთეულისკენ (ორბელიანი, 1991-1993).

სიტყვა-ფორმა კომპოზიტური წარმოებისაა, რომელიც შედგება მეგრ. **ჯა** (ძელი) + **რგუალი** (მრგუალი) ფუძეებისგან. ამაზე მიუთითებს ი. ყიფშიძე განმარტებისას **ჯა** „ხე“; **ჯა+რგვალი** მრგვალი მორების ნაგებობა (ყიფშიძე, 1914). ეს მეგრული სიტყვა-ფორმა, დასტურდება სხვა დასავლურ კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ.). გვხვდება ლაზურშიც მრგვალი ხის მნიშვნელობით **ჯაგვალა** - მორი, **ჯაგვალი** - მრგვალი ხე (თანდილავა, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ **ჯარგვალი** ზოგადქართული გამოყენებისაა, ვფიქრობთ, ქეგლ-ში უნდა აღნიშნულიყო მისი მეგრული წარმომავლობა.

3.3. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ განსხვავებული სემანტიკით დადასტურებული მეგრული ფორმები

სხაპი

„როცა ცხენები სხაპის თამაშზე მიაგდეს, აქ ასთამურმა აიღო პირველობა“ (გამსახურდია, 1990:85).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **სხაპი** კუთხური, კერძოდ კი გურული სიტყვაა და იგივეა, რაც მახე (ქეგლი). ო. ქაჯაიას მეგრულ ლექსიკონშიც განმარტებულია, როგორც ჩიტის დასაჭერი მახე; ხაფანგი, კაკანათი და შედარებულია გურულ სხაპთან, ფრინველების საჭერ ძუის მახესთან (ქაჯაია, 2001-2002).

სხაპი ლექსუმურში დასტურდება განსხვავებული მნიშვნელობით - „დაკლული საქონლის კისრის ნაწილი“ (დლონტი, 1984).

მსგავსი სემანტიკის სიტყვა ამ ძირით ხევსურულ მეტყველებაში დასტურდება **სხაპნი** - „მათრახით, წნელით და მისთ. ცემის ხმა“: „იქავ შეჯდება ლურჯასა, სხაპნ იქნან მათრახისანი“ (ჭინჭარაული, 2005).

პროფ. რ. შეროზია „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ **მონას-სპანი** („სასწრაფოდ გამოშურებულნი, ცხენთა ნავარდით წამოსულნი“) ფორმას მეგრულში დადასტურებულ **სხაპ** ძირს უკავშირებს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა მოსაზრება გამყარებულია ხევსურულში დადასტურებული **სხაპნი** ფორმის არსებობით (შეროზია, 2012:278; ზ. სარჯველაძე: **სხაპ** ძირი დაკავშირებულია ფშაურ **გამოგსხვეკ** ფორმასთან). ვფიქრობთ, ქეგლ-ში **სხაპი** ერთეულს უნდა დაემატოს ერთ-ერთი მეგრული მნიშვნელობაც: „ნახტომი, ილეით, ფიგურა ჯირითისა“ (ქობალია, 2010), ან „ცხენის სწრაფი გაჭენება“.

3.4. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დაუდასტურებელი მეგრული ფორმები

მაფშალია

„სადაც, სულ ახლოს, გალობდა მაფშალია“ (წულეისკირი, 1977:220).

პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ერთეულში გამოიყოფა **ფშალ-**ძირი, რომელიც უკავშირდება მცენარე სვიას. ლექსიკონში **სვიას** მეგრულ შესატყვისად დასტურდება **მაფშალია**, **ფშალე** (მაყაშვილი, 1991).

ი. ყიფშიძე **ფშალი** „ზვუია“ (სვია) ერთეულთან ასახელებს ფორმებს: **მა-ზ/ფშალია**, **მე-ფშალია**, **მა-შაია**, **მა-ვშაია** „ბულბული“; **მა-ფშალური** „ბულბულისებური“, **მა-ფშალური** „ბულბულივით“ (ყიფშიძე, 1914). **მა-ფშალ-ი-ა** „ფშალოს ჩიტს“ გულისხმობს.

საინტერესოა, ლაზურ ლექსიკონში შესული **მაფშალე** „მესვიე; იადონი“ (თანდილავა, 2013).

სპარსული **ბულბული** და ბერძნული **იადონი** ერთეულების შესატყვისი ქართველურ მეტყველებაში არის **მაფშალია**, რომელიც დღესაც გამოიყენება მეგრულში (ამაზე მიუთითებს არნ. ჩიქობავაც; ჩიქობავა, 2011:30-31). მართალია, სპარსულ **ბულბულ** ფორმას ძლიერ აქვს ფეხი მოკიდებული, მაგრამ ამ ბოლო ხანს **მაფშალია** გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს და ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც; ამდენად, ვფიქრობთ, ქეგლ-ში მას კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს.

დასკვნები

1. მეგრული ლექსიკა ოდითგანვე იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკა.
2. მეფის რუსეთისა და საბჭოთა იდეოლოგიურ ველში შექმნილი იდეოლოგიების მიხედვით, მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველებები დამოუკიდებელ, უმწერლობო ენებს წარმოადგენენ, ამიტომ მაგ., მეგრული ლექსიკის ბაზაზე უნდა შეიქმნას „მეგრული სალიტერატურო ენა“. ქართველთა ენობრივად დამანაწევრებელ ამ პოლიტიკას 150 წელია აქტიურად უპირისპირდება ქართველი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დიდი ნაწილი, რომლებიც წინა პლანზე აყენებენ სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორიას, საიდანაც ჩანს, რომ ქართველთა სამწიგნობრო კულტურა ერთიანი ქართული შემოქმედებაა. დიდი შეცდომაა რომელიმე ქართველური თემის გამოცხადება „უმწიგნობრო ენის მქონე ხალხად“. ქართველთა ენობრივი ერთიანობის მიმართულებით მნიშვნელოვანია აკად. არნ. ჩიქობავას დამსახურება, რომელმაც ი. სტალინის შეხედულების (1913) საწინააღმდეგოდ, მეგრელების, ლაზების, სვანების ისტორიულ სამწიგნობრო ენად ქართული ენა გამოაცხადა. ზეპირი ქართველური მეტყველებების კვალიფიკაციის კონტექსტით მან შუალედური პოზიცია დაიკავა და მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ტომობრივი ენა უწოდა. მან სტატუსით მეგრული გაათანაბრა სხვა ქართველურ დიალექტებთან; ამის მიუხედავად, მეგრული კვალიფიკაციით სიტყვაფორმები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არ შეიტანა.
3. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ არც ერთი ლექსიკური ერთეული არ დასტურდება მეგრულზე მითითებით. ლექსიკონში ფიქსირდება მეგრული ლექსიკა, რომელიც სხვა დიალექტების კუთვნილებადაა წარმოდგენილი. ქეგლ-ში ვხვდებით ისეთ სიტყვა-ფორმებსაც, რომელთა გახმოვანება, ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზი ეჭვსაც არ იწვევს ერთეულის მეგრულ წარმომავლობაზე, მაგრამ კვალიფიკაციის გარეშეა, მაგ.: **ბაღანა**, **კუჩხაბედინერი**, **ოჩოკოჩი**, **პეტელი**, **ჯარგვალი**... „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“

ახალი რედაქციის უპირველეს დანიშნულებას სწორედ ამ სიტყვა-ფორმათა ადეკვატური კვალიფიკაცია და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეგრულში შემონახული სიტყვა-ფორმებით გამდიდრება უნდა წარმოადგენდეს.

4. საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იდეოლოგემა მეგრული-სათვის (ასევე ლაზურისა და სვანურისათვის) უმწერლობო ენის სტატუსის შესახებ **აქტუალური გახდა** ბოლო ათწლეულებში გამოცემული მეგრული ლექსიკონების ავტორებისათვის. აქტიურად გამოიცემა მეგრული **„თარგმნითი ლექსიკონები“**. ამგვარ სამუშაოებში დღეს აქტიურად არიან ჩართული უცხოური ფონდებიც, რომელთა მხარდაჭერით იქმნება სამეცნიერო, ხუთენოვანი ლექსიკონები. მეგრულის (ლაზურის, სვანურის) ენად კვალიფიცირება ზოგს მისი გაქრობისაგან გადარჩენის საშუალებად მიაჩნია, არადა პირიქით, ამგვარი მიდგომა დასახელებული ქართველური ქვესისტემების ლექსიკას, რუსული თუ საბჭოური ტენდენციის მსგავსად, გზას უკეტავს ქართული სამწიგნობრო ენისაკენ და მათ გაუცხოებას უწყობს ხელს. როგორ უნდა კვებოს მეგრულმა მეტყველებამ ქართველთა სალიტერატურო ენა, ამის ნიმუშია კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის... შემოქმედება. ჩვენ მიერ გაანალიზებული ლექსიკური ერთეულებიდან ზოგი დასტურდება ქეგლ-ში (სხვა დიალექტის ფორმად მიჩნეული!), მაგრამ ეს არაა საკმარისი. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში ფართოდ უნდა გაეხსნას გზა მეგრულ (ასევე: ლაზურ თუ სვანურ) სიტყვა-ფორმებს.
5. საუკუნეების მანძილზე მეგრული გაქრობას სწორედ იმან გადაარჩინა, რომ მეგრული ლექსიკა, როგორც ზოგადქართული კულტურული მემკვიდრეობა, მიიჩნეოდა ქართველური სალიტერატურო ენის მასაზრდოებელ წყაროდ (სხვა ქართველური ქვესისტემების ლექსიკასთან ერთად).

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

კვლევის მიმდინარეობა და მისი ძირითადი შედეგების ნაწილი ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა და სტატიებში.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი **სტატიები**:

1. კესო გეჯუა, მეგრული ლექსიკა სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბილისი, 2019, გვ. 139-148;
2. კესო გეჯუა, კონსტანტინე გამსახურდია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესახებ, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VII, თბილისი, 2018, გვ. 45-54;
3. კესო გეჯუა, მეგრულ-ლაზური ლექსიკა კ. გამსახურდიას რომანების მიხედვით (დიონისოს ღიმილი), ქართველური მემკვიდრეობა XXII, ქუთაისი, 2018, გვ. 23-35;
4. კესო გეჯუა, მეგრული ლექსიკა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2018, გვ. 22-23;
5. კესო გეჯუა, მეგრული ლექსიკა ქართული სამწიგნობრო ენისათვის I, ქართველური მემკვიდრეობა XXI, ქუთაისი., 2017, გვ. 46-50.



**Saint Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia**

School of Humanities & Law

**Doctoral Education Program
Philology**

With the right of manuscript

Keso Gejua

**Megrelian Word-Forms and the Lexis of
Kartvelians' Literary Language**

Submitted for Doctoral degree in Philology

Dissertation Abstract

0232.1.3 Philology

Tbilisi
2020

The dissertation thesis has been completed at the School of Humanities & Law of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Research supervisors:

Tariel Putkaradze – Doctor of Philological Sciences, Professor

Revaz Sherozia - Doctor of Philological Sciences,
Associate Professor

Official examiners:

Manana Tabidze - Doctor of Philological Sciences, Professor

Asmat Shonia - Doctor of Philology, Associate Professor

The dissertation defense date is 18 May 2020, 17:00 at the sitting of the Philology Section Dissertation Commission of the Dissertation Council. Due to the state of emergency, the dissertation defense will be conducted online. It is possible to join the public defense process via the following link: <https://zoom.us/j/8978585107>

The dissertation abstract was disseminated on _____ 2020

Secretary of the Philology Section of the Dissertation Council,
Doctor of Philology,
Nino Mamardashvili

General Description of the Thesis

Importance of the Research Topic

The place of Megrelian speech, the refore, Megrelian lexis in Kartvelian languages is a significant topic in linguistic circles.

From ancient times to the 70s of the XIX century, Megrelian vocabulary had constituted a powerful branch of the Georgian literary language. From the 1870s, following the „divide and rule“ policy, officials of Tsarist Russia had actively begun working on the division of Georgians in linguistic and ethnic respect; in particular, they developed a rather far-fetched and vicious plan to establish Megrelian language as an independent ecclesiastical and literary language. The said „Russian project“ had continued during the Soviet period and continues to this day - there are still active attempts to form a „Megrelian literary language“; therefore, working on Megrelian „translation“ dictionaries is still underway in order to lay the foundation for recognising this speech as an independent language.

In response, Georgian public figures, classical writers, and the majority of scholars of the XIX-XX centuries enthusiastically confronted the divisive linguistic policy of Georgians. They thought of the Megrelian vocabulary as a valuable contribution to the Georgian literary language. Nevertheless, the Russian policy managed to leave a scar to such a literary treasure as the eight volumes of the Explanatory Dictionary of the Georgian Language (EDGL) published in 1950-1964 by editor in chief, Arnold Chikobava. Traditionally, dictionaries of the Georgian literary language (Kartvelian language) included the Kartvelian dialectal vocabulary that could be applied in the literary language (including the Megrelian vocabulary). This tradition was partially observed in the Explanatory Dictionary of the Georgian Language; however, as it seems, in the conditions of the Soviet repressive regime, it became impossible to adequately depict the vocabulary of all Kartvelian subsystems in the given dictionary. In particular, out of dialectal items there is none of the Megrelian, Laz or Svan words included in the Explanatory Dictionary of the Georgian Language with proper classification (in the same manner as other dialects or languages are indicated). Rather importantly, the dictionary does not include any

Megrelian forms that are also used in Gurian and Megrelian speeches. The reason of this approach might be the fact that according to the ideology prevailing in the Soviet period, Megrelian-Laz and Svan languages were deemed „unwritten languages“ and „tribal languages“.

Today, the Lexicological Department of the Arnold Chikobava Institute of Linguistics is working on a new edition of the Explanatory Dictionary of the Georgian Language. Interestingly, the Centre of Kartvelology of Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia has also developed a new concept of the Explanatory Dictionary of Georgian (/ Kartvelian) Language. Therefore, due to the given situation, we believe that there should be a detailed and comprehensive analysis of the place of Megrelian word-forms.

Main Goal and Objectives of the Research

The dissertation aims to present the perspectives on Megrelian vocabulary based on lexicographic and lexicological analysis with the respect to the historical dynamics. In order to present the role of Megrelian vocabulary in the history of Georgian literary culture, we have formulated **the goals**, which include the study of the following:

